

შპს „ექსკალიბურ“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თბილისი

2025 წლის 1 ოქტომბერი

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი
სახსრები
მარაგები
მზა პროდუქცია
ძირითადი საშუალებები
სულ აქტივები

31/12/2024	31/12/2023
624,096	96,511
50,868	23,758
145,116	107,395
2,296,780	3,047,993
2,296,780	3,047,993
60,219	121,785
3,177,079	3,397,442

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები
სულ ვალდებულებები

62,239	1,875
62,239	1,875

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი',
კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)
სულ საკუთარი კაპიტალი
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები
სულ მოკლევადიანი აქტივები
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები

1,939,313	1,658,633
1,175,527	1,736,934
3,114,840	3,395,567
3,177,079	3,397,442
2,296,780	3,047,993
6,239	1,875

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

ნეტო ამონაგები
საქონლის გაყიდვიდან
გაყიდვების თვითღირებულება
საერთო მოგება
დასაქმებულთა ანაზღაურება
იჯარის ხარჯი
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი
სულ საოპერაციო ხარჯები
საოპერაციო მოგება

31/12/2024	31/12/2023
2,850,306	2,701,577
2,850,306	2,701,577
-2,504,651	-1,340,377
345,655	1,361,200
-436,238	-284,439
-25,500	
-445,324	
-907,062	-284,439
-561,407	1,076,761

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე
განგრძობითი ოპერაციებიდან
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი

-561,407	1,076,761
-561,407	1,076,761

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)
კაპიტალის სხვა ცვლილებები

-561,407	1,076,761
3,395,567	2,150,384
	-31,578
280,680	200,000



საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3,114,840	3,395,567
--	-----------	-----------

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	2,363,259	
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-1,835,674	
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	527,585	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	96,511	193,564
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	624,096	193,564



შპს „ექსკალიბურ“

საადრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ექსკალიბურ“ (ს.ნ.: 404388408) დაფუძნებულია საქართველოში 2010 წლის 5 ოქტომბერს. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ცეცხლსასროლი და სპორტული იარაღის რეალიზაცია: სანადირო თოფი, კარაბინი, შაშხანა, პისტოლეტი, დანა და სხვა იარაღი. კომპანიის ასორტიმენტში აგრეთვე შედის სხვადასხვა ტიპის კონდახი, მჭიდი, ტყვია, სამაგრი ღვედი, ოპტიკური სამიზნე, ფარანი და შესაბამისი აქსესუარები. საქმიანობის განხორციელებისთვის კომპანია ფლობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის ნებართვებს.

კომპანიის მფლობელები არიან საქართველოს მოქალაქეები:

- ალექსანდრე ლუხავა: 37.5%
- ლევან ღურგაია: 37.5%
- ნოდარ ბაღათური: 25%

კომპანიას ხელმძღვანელობს დირექტორი (თანამფლობელი) ალექსანდრე ლუხავა.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ჭავჭავაძის ქ., №3, ბინა №66.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის საადრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების “მსს ფასს-ზე გადასვლა”- ფარგლებში).

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2023 წლის 01 იანვარი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაექტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია მოცემული ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული

საბუღალტრო მიდგომების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს უპირობო დაშვებით.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია და ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის და მის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც გამოსცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB).

საანგარიშგებო პოლიტიკა ასახავს იმ ძირითადი პრინციპებისა და წესების ერთობლიობას, რომელსაც კომპანია თანმიმდევრულად იყენებს ფინანსური ინფორმაციის აღრიცხვის, შეფასებისა და წარდგენის პროცესში. აღნიშნული პოლიტიკა უზრუნველყოფს:

- საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას - ანგარიშგების მომზადება ეფუძნება IASB-ის მიერ დადგენილ მოთხოვნებსა და რეკომენდაციებს;
- სისწორესა და სანდოობას - ფინანსური ინფორმაცია ასახავს კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ მდგომარეობას;
- სათანადო შესადარისობას - გამოყენებული მიდგომები თანმიმდევრულად ვრცელდება სხვადასხვა საანგარიშგებო პერიოდებზე, რაც წამკითხველს / მომხმარებელს საშუალებას აძლევს, შეაფასოს კომპანიის საქმიანობის ტენდენციები;
- გამჭვირვალობას - მენეჯმენტი უზრუნველყოფს მნიშვნელოვან საანგარიშგებო პოლიტიკასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილების დეტალურ განმარტებას შენიშვნებში.

აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა საანგარიშგებო პერიოდში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სტანდარტების ცვლილებები ან ახალი ინტერ-პრეტაციები მოითხოვს განსხვავებულ მიდგომას. ასეთ შემთხვევებში მენეჯმენტი უზრუნველყოფს ცვლილებების გამჭვირვალე გამჟღავნებას და საჭიროების შემთხვევაში, შედარებითი პერიოდის მონაცემების გადამუშავებას.

4. წარდგენის ვალუტა

ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხორციელდება ლარში, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული. ქართული ლარი არის საწარმოს მოქმედი, ფუნქციონალური ვალუტა.

5. აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

საბუღალტრო მიდგომების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს უპირობო დაშვებით.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია და ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის და მის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც გამოსცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB).

საანგარიშგებო პოლიტიკა ასახავს იმ ძირითადი პრინციპებისა და წესების ერთობლიობას, რომელსაც კომპანია თანმიმდევრულად იყენებს ფინანსური ინფორმაციის აღრიცხვის, შეფასებისა და წარდგენის პროცესში. აღნიშნული პოლიტიკა უზრუნველყოფს:

- საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას - ანგარიშგების მომზადება ეფუძნება IASB-ის მიერ დადგენილ მოთხოვნებსა და რეკომენდაციებს;
- სისწორესა და სანდოობას - ფინანსური ინფორმაცია ასახავს კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ მდგომარეობას;
- სათანადო შესადარისობას - გამოყენებული მიდგომები თანმიმდევრულად ვრცელდება სხვადასხვა საანგარიშგებო პერიოდებზე, რაც წამკითხველს / მომხმარებელს საშუალებას აძლევს, შეაფასოს კომპანიის საქმიანობის ტენდენციები;
- გამჭვირვალობას - მენეჯმენტი უზრუნველყოფს მნიშვნელოვან საანგარიშგებო პოლიტიკასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილების დეტალურ განმარტებას შენიშვნებში.

აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა საანგარიშგებო პერიოდში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სტანდარტების ცვლილებები ან ახალი ინტერ-პრეტაციები მოითხოვს განსხვავებულ მიდგომას. ასეთ შემთხვევებში მენეჯმენტი უზრუნველყოფს ცვლილებების გამჭვირვალე გამჟღავნებას და საჭიროების შემთხვევაში, შედარებითი პერიოდის მონაცემების გადამუშავებას.

4. წარდგენის ვალუტა

ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხორციელდება ლარში, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული. ქართული ლარი არის საწარმოს მოქმედი, ფუნქციონალური ვალუტა.

5. აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენი ვალდებულება გრძელვადიანია.

ურთიერთგადაფარვა

დაუშვებელია აქტივებისა და ვალდებულებების, ან ხარჯებისა და შემოსავლების ურთიერთგადაფარვა. ურთიერთგადაფარვა არ არის აქტივების შეფასება შეფასებითი ხასიათის შესწორებებით, როგორცაა, მაგალითად მარაგის დაძველებით გამოწვეული ფასშესწორება და უიმედო მოთხოვნებისთვის - საექვო ვალების ანარიცხები.

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობა არ მოიცავს გრძელვადიანი აქტივების, მათ შორის ინვესტიციებისა და საოპერაციო აქტივების ყიდვა-გაყიდვას და შესაბამისად, მათი გასხვისების შემთხვევაში, ამგვარი აქტივების გასხვისებასთან დაკავშირებულ შემოსულობას ან ზარალს წარადგენს მიღებული შემოსავლიდან აქტივის საბალანსო ღირებულებისა და მის გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით.

კომპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში ახორციელებს მიმდინარე საგადასახადო აქტივებისა და მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ურთიერთგადაფარვას, ან გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ურთიერთგადაფარვას, როდესაც საწარმოს აქვს ამ თანხების ჩათვლის იურიდიული ძალის მქონე უფლება და მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე შეუძლია იმის დემონსტრირება, რომ ანგარიშსწორებას გეგმავს ნეტო საფუძველზე, ან საგადასახადო აქტივის რეალიზებასა (გამოყენებასა) და საგადასახადო ვალდებულების დაფარვას ერთდროულად აპირებს.

6. ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტი ყველაზე ლიკვიდური აქტივია, რომელიც ღირებულების ცვლილების მნიშვნელოვან რისკს არ ექვემდებარება. ის მოიცავს ნაღდ ფულს საბანკო ანგარიშებზე, სალაროში და მოთხოვნად დეპოზიტებს, რომელთა ვადაც 3 თვეს ან უფრო ნაკლებს შეადგენს.

აღიარება და შეფასება:

- ფულადი სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მათი ნომინალური ღირებულებით.
- უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები და დეპოზიტები გადამუშავებულია ეროვნულ ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მოქმედი ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით.
- კურსთაშორისი სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ხარჯი.

გამჟღავნება:

- კომპანია ცალკე ასახავს შეზღუდულ ფულადი სახსრებს (მაგ., ბლოკირებულ საბანკო ანგარიშებს, უზრუნველყოფილ დეპოზიტებს ან გარანტიის სახით გადაცემულ თანხებს).
- შეზღუდული თანხები გამიჯნულია თავისუფალი ფულადი სახსრებისგან, ვინაიდან მათი გამოყენება შეზღუდულია კონკრეტული ვალდებულებების ან გარიგებების შესაბამისად.

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს.

იარაღების იმპორტის დროს მომწოდებელთან შეკვეთის დადასტურების შემდეგ, მოთხოვნა (შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე) იგზავნება თავდაცვის სამინისტროში სანებართვო ლიცენზიის მისაღებად. შესაბამისი გადასახადის გადახდისა და ყოველი კონკრეტული შეკვეთისთვის გაცემული ლიცენზიის წარდგენის (გარდა სხვა სტანდარტული, განბაჟებისთვის საჭირო დოკუმენტაციისა) შემდეგ ხდება ჩამოსული ტვირთის განბაჟება, წინასწარი ან არაწინასწარი განცხადების საფუძველზე. სხვა დანარჩენი პროდუქციის განბაჟება ხდება სტანდარტულად.

ტვირთის ტრანსპორტირება ხდება, საჰაერო ან სახმელეთო ტრანსპორტით, რომელსაც ძირითადად უზრუნველყოფ იმპორტიორი, ტრანსპორტირების თანხა ინვოისებში გამოყოფილია ცალკე, ან ზოგჯერ დამატებულია საქონლის საფასურს.

აღიარება და შეფასება

მარაგები თავდაპირველად აღიარებულია შესყიდვის ფაქტობრივი ღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- შესყიდვის ფასს;
- ტრანსპორტირების, განბაჟებისა და ლიცენზირების ხარჯებს;
- სხვა პირდაპირ ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების დღევანდელ მდგომარეობამდე და მდებარეობამდე მიტანასთან.

შემდგომში მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და სარეალიზაციო წმინდა ღირებულებას შორის დაბალით. შეფასებით გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი

საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო გასაყიდი ფასი, რომლიდანაც გაქვითულია დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება გაყიდვიდან მისაღები თანხით. დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

გაუფასურების რეზერვის შეფასების მეთოდი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახორციელებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების დეტალურ ანალიზს, რათა განსაზღვროს, საჭიროა თუ არა გაუფასურების რეზერვის შექმნა.

გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები მოიცავს:

- გადახდის ვადის გადაცილება და დავალიანების ხანგრძლივი პერიოდი;
- დებიტორის ფინანსური სირთულეები, გადახდისუნარიანობის გაუარესება ან გაკოტრების / გადახდისუნარიანობის პროცედურების დაწყება;
- გადახდის დარეგულირების ისტორია და წარსულში დაფიქსირებული გადაუხდელო დავალიანებები;
- მენეჯმენტის მიერ დადასტურებული ინფორმაცია, რომ მოთხოვნის სრულად ან ნაწილობრივ ამოღება რისკის ქვეშაა.

შეფასების პროცესი:

- მოთხოვნები ჯგუფდება ვადიანობის ანალიზის მიხედვით (მაგ., 0–30 დღე, 31–60 დღე, 61–90 დღე, 90 დღეზე მეტი).
- თითოეულ ჯგუფზე დადგენილია მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სავარაუდო ამოღების პროცენტი, რომელიც ეფუძნება წინა წლების გამოცდილებას და მიმდინარე წლის ეკონომიკურ გარემოს.
- ინდივიდუალურად მნიშვნელოვნად დიდ მოთხოვნებზე რეზერვი ფასდება თითოეულ კონკრეტულ დებიტორზე არსებული ინფორმაციის საფუძველზე.

აღიარება:

გაუფასურების შედეგად დადგენილი რეზერვი აღირიცხება მოგება-ზარალში როგორც „გაუფასურების ხარჯი“ და აკლებს მოთხოვნის საბალანსო ღირებულებას. შემდგომი აღდგენის შემთხვევაში, რეზერვი ნაწილობრივ ან სრულად გაუქმდება და აღიარებული იქნება შემოსავალში.

9. გადახდილი ავანსები და გაცემული სესხები

გადახდილი ავანსები წარმოადგენს მომწოდებლებისთვის წინასწარ გადარიცხულ თანხებს საქონლის ან მომსახურების შესაძენად. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის მენეჯმენტი აფასებს ავანსების ანაზღაურებადობას. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ წინასწარ გადახდილი თანხა ვერ დაბრუნდება ან ვერ შეესაბამება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღებას, აღირიცხება გაუფასურების ზარალი.

საავანსო გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი, თუ მოსალოდნელია, რომ შესაბამისი საქონელი ან/და მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის ან მეტი ხნის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება აღირიცხული, როგორც გრძელვადიანი.

გაცემული სესხები აღიარდება თავდაპირველად მათი გაცემის მომენტში გადახდილი თანხით. შემდგომში ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის მენეჯმენტი ამოწმებს, არსებობს თუ არა სესხის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ასეთ შემთხვევაში სესხის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო დანაკარგი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

10. პირობითი აქტივები

პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი. პირობითი აქტივი არის შესაძლო აქტივი, რომელიც წარმოიქმნება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მისი არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი ისეთი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არარსებობით, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნდა პირობითი აქტივები, შესაბამისად დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულება აღირიცხება, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ნაკისრ მოწოდებას და აღირიცხება თავიდან სამართლიანი ღირებულებით, რომელიც არაა პროცენტის მატარებელი. უცხოურ ვალუტაში არსებული სავაჭრო ვალდებულება გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის მოქმედი კურსის შესაბამისად. კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული სარგებელი ან დანაკლისი აღიარდება სხვა შემოსავალში ან ხარჯებში.

12. პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულება არის შესაძლო, მაგრამ გაურკვეველი ვალდებულება, ან მიმდინარე ვალდებულება, რომელიც არ არის აღიარებული, რადგან არ აკმაყოფილებს ვალდებულების აღიარებისთვის შემდეგი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს ან ორივეს:

- მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარად საწარმოდან რესურსების გასვლა, რომელშიც განივთებულია ეკონომიკური სარგებელი ან/და
- ვალდებულების დასაფარად აუცილებელი თანხის ოდენობის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

საწარმომ პირობითი ვალდებულება არ უნდა აღიაროს როგორც ვალდებულება, გარდა საწარმოთა გაერთიანების შემთხვევაში შეძენილი საწარმოს პირობითი ვალდებულებებისა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნდა პირობითი ვალდებულებები, შესაბამისად დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის.

13. მოგების გადასახადი

კომპანიის მოგების დაბეგვრა ხორციელდება ე.წ. „ესტონური მოდელით“, რაც გულისხმობს (ა) მოგების გადასახადის დარიცხვას მოგების განაწილებისას და არა - მისი გენერირების დროს და (ბ) სხვადასხვა ისეთი ხარჯის გაწევისას, რომლების იბეგრება მოგების გადასახადით.

14. საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან (რომელიც შეიძლება, გაიზარდოს ან შემცირდეს საზოგადოების პარტნიორთა გადაწყვეტილების შესაბამისად) და გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელიც კომპანიამ დააგროვა წლების განმავლობაში.

15. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების მთელ პერიოდზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით.

აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- შენობა-ნაგებობები: 25-50 წელი
- მოწყობილობა-დანადგარები: 10-15 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები: 7-15 წელი
- კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა: 5-10 წელი
- ავეჯი: 12-18 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები: 5-10 წელი

16. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (მათ შორის შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა) და სხვა არამატერიალური აქტივებს, რომლებიც აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია

აღირიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

არამატერიალური აქტივები: 3-10 წელი

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ

განსაზღვრა, მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების დანაკლისი დაუყოვნებლივ აღიარდება სრული შემოსავლის ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

17. ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვა ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი სარეალიზაციო პირობების საფუძველზე. საქონლის რეალიზაციიდან ამონაგები აღიარდება, როდესაც საქონელი მიეწოდება მყიდველს და მას გადაეცემა საკუთრების უფლებადა ან არსებობს მენეჯმენტის მხრიდან შემდგომი მონაწილეობის ან კონტროლის აუცილებლობა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. ამონაგების შეფასება

ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით რეალიზაციასთან დაკავშირებული საქართველოს საგადასახდო კოდექსით დადგენილი გადასახადებისა და კომპანიის მიერ განსაზღვრული ფასდათმობების გამოკლებით.

ფასდაკლებები და სარეალიზაციო აქციები აღირიცხება გაყიდვის მომენტში.

საქონლის დაბრუნების შემთხვევაში, შემოსავალი მცირდება დაბრუნებული საქონლის ღირებულებით.

გარანტიები და მომსახურების შემდგომი ვალდებულებები (არსებობის შემთხვევაში) აღიარდება IASB-ის მიერ განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.

18. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

საწარმოში დასაქმებული პირების გასამრჯელო ფიქსირებულია და განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებებით. მათი აღრიცხვა ხდება შესაბამისი საგადასახდო ვალდებულებების გათვალისწინებით.

კომპანიის სავაჭრო ზონა განთავსებულია იჯარით აღებულ ფართში. იჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია ფიზიკურ პირთან. გაიცემა ყოველთვიურად და იბეგრება ყოველი თვის საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციაში.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ აღგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გავლენას მოახდენდა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ სიდიდეებზე ან ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე.

20. ფინანსური ანგარიშგების გამოცემა

ფინანსური ანგარიშგების გამოცემის ნებართვა გაიცა კომპანიის დირექტორის, ალექსანდრე ლუხავას მიერ 2025 წლის 1 ოქტომბერს.

